

ფრიდრიხ ნიცშე

## ECCE HOMO

როგორ ხდება ადამიანი ის, რაც ის არის

გერმანულიდან თარგმნა  
გიორგი თავაძემ

გამომცემლობა „აქტი“  
თბილისი / 2024

Ecce homo-ს უნიკალური ადგილი უჭირავს ნიცშეს ნაწარმოებებს შორის: მასში გერმანელი ფილოსოფოსი საკუთარ თავზე და შემოქმედებაზე საუბრობს. ნაწარმოები ნიცშეს ცნობიერი ცხოვრების უკანასკნელ წელს (1888) დაიწერა და ის ფილოსოფიური თვითინტერპრეტაციის უაღრესად საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს. Ecce homo, ფაქტობრივად, ფილოსოფიური პასპორტია, ხოლო მისი ავტორი – ფილოსოფიური აზროვნების სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და, ამავდროულად, საიდუმლოებით მოცული მოქალაქე.

მთარგმნელი: გიორგი თავაძე

გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2024

ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გიორგი თავაძე

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-7136-8

## სარჩევი

მთარგმნელის წინასიტყვაობა.....	5
<b>გიორგი თავაძე</b>	
ადამიანი-დინამიტი. ფრიდრიხ ნიცშეს პიროვნება და.....	6
მისი ამოცანა Ecce homo-ს მიხედვით.....	6
<b>ECCE HOMO</b>	
წინასიტყვაობა.....	23
შინაარსი.....	29
რატომ ვარ ასეთი ბრძენი.....	31
რატომ ვარ ასეთი ჭკვიანი.....	51
რატომ ვწერ ასეთ კარგ წიგნებს.....	77
ტრაგედიის დაბადება.....	92
არათანადროულნი.....	101
ადამიანური, ძალზე ადამიანური.....	109
განთიადი.....	119
მხიარული მეცნიერება.....	123
ასე ამბობდა ზარატუსტრა.....	125
სიკეთისა და ბოროტების მიღმა.....	145
მორალის გენეალოგია.....	147
კერპების მწუხრი.....	149
ვაგნერის საქმე.....	153
რატომ ვარ ბედისწერა.....	163
დანართი 1. ფრიდრიხ ნიცშეს ცხოვრების ქრონიკა.....	175
დანართი 2. შეშლილობის პერიოდის წერილები.....	236
გამომცემლობის მიერ გამოცემული ფრიდრიხ ნიცშეს წიგნები.....	247

## მთარგმნელის წინასიტყვაობა

ჩემი თარგმანებით არასოდეს ვარ კმაყოფილი. ამიტომაც, სიამოვნებით დავთანხმდი გამომცემლის – გიზო ცაცუას – წინადადებას *Ecce homo*-ს ახალი გამოცემის თაობაზე. თარგმანის ტექსტზე მუშაობა ჯერ კიდევ 2019 წელს დავიწყე, თუმცა, დატვირთული სალექციო და კვლევითი გრაფიკის გამო, წყვეტებით ვმუშაობდი და მხოლოდ წელს მოვახერხე თარგმანზე მუშაობის დასრულება. ახალ გამოცემაში ტექსტის შენიშვნები, – რომლებიც მკითხველთა ფართო წრისთვის და სტუდენტებისთვისაა გათვალისწინებული, – სქოლიოებშია მოცემული. უცხო სიტყვების განმარტებისას გამოყენებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე განთავსებული ლექსიკონები. თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: Friedrich Nietzsche, *Ecce homo. Wie man wird, was man ist*. In: Friedrich Nietzsche, *Sämtliche Werke. Kritische Studienausgabe in 15 Bänden* (= KSA), hrsg. von Giorgio Colli und Mazzino Montinari. München: Deutscher Taschenbuch Verlag, 1999, Bd. 6, გვ. 255–374.

## გიორგი თავაძე

### ადამიანი-დინამიტი. ფრიდრიხ ნიცშეს პიროვნება და მისი ამოცანა *ECCE HOMO*-ს მიხედვით

„მე არა ვარ ადამიანი, მე დინამიტი ვარ.“  
ფრიდრიხ ნიცშე, *Ecce homo*, რატომ ვარ ბედისწერა, 1.

#### §1. შესავალი

„*Ecce homo*, ანუ რატომ ვიცი ზოგიერთზე მეტი. ფრიდრიხ ნიცშეს მიერ“, – ასეთი იყო *Ecce homo*-ს სათაურის ერთ-ერთი ადრეული ვერსია (KSA 13, 615). 1888 წლის ოქტომბერ-ნოემბრის შენიშვნებში სხვა ვერსიებიც გვხვდება: „*In media vita /მადლიერი ადამიანის შენიშვნები/ ფ. ნ.-ს მიერ*“ (KSA 13, 632), „*Ecce homo. მრავალსახა ადამიანის შენიშვნები*“ (იქვე), „*Fridericus Nietzsche /de vita sua/ გერმანულად გადათარგმნილი*“ (KSA 13, 633), „სარკე. თვითშეფასების მცდელობა ფრიდრიხ ნიცშეს მიერ“ (იქვე), „მეგზური. ჩემი ცხოვრებისეული გონიერების შესახებ“ (KSA 13, 634), „გარდასულებთან მიმართებაში. დანართი. *Ecce homo*“ (იქვე).

როგორც ცნობილია, ნიცშემ საბოლოო სათაური შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „*Ecce homo*. როგორ ხდება ადამიანი ის, რაც ის არის“. სხვა ვარიანტებთან მიმართებაში ჩნდება შემდეგი შეკითხვა: ხომ არ ინარჩუნებენ ისინი ძალას, მიუხედავად იმისა, რომ *Ecce homo*-ს ტექსტში აქტუალურად არ გვხვდებიან? ბუნებრივია, თავად ის გარემოება, რომ აღნიშნული ვარიანტები ნიცშეს შენიშვნებში გვხვდება,

ადასტურებს მათ კავშირს *Ecce homo*-ს ტექსტში განვითარებულ შეხედულებებთან. *Ecce homo* მრავალშრიანი ნაწარმოებია, სადაც განსხვავებული პერსპექტივები ერთმანეთს ენაცვლება. ის არ თავსდება ერთ განზომილებაში. უფრო მეტიც, ის ერთდროულად არსებობს რამდენიმე განზომილებაში.

წინამდებარე სტატიის მიზანია, *Ecce homo*-ს ანალიზის საფუძველზე, ნიციშეს პიროვნება და მისი ამოცანა ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირში აღწეროს. თავდაპირველად შევეცდები, ვაჩვენო, რომ ის „წინააღმდეგობები“ და „უცნაურობები“, რომლებითაც, ერთი შეხედვით, გამოირჩევა *Ecce homo*, მოჩვენებითი ხასიათისაა. *Ecce homo*-ში ნიციშე თხრობის პერსპექტივისტულ, მრავალწახნაგოვან პოზიციამდე დგას. შემდეგ გამოვკვეთ ნიციშეს პერსპექტივიზმსა და მის ამოცანას (რაც ყველა ღირებულების გადაფასების ნიციშესეული პროექტის ტოლფასია) შორის უმინაგანეს კავშირს. სწორედ ეს კავშირია ნიციშეს პიროვნების უმნიშვნელოვანესი ასპექტი *Ecce homo*-ში, რადგან სწორედ ყველა ღირებულების გადაფასების პროექტს უკავშირებდა ნიციშე თავის პიროვნების ამოცანას შეგნებული სიცოცხლის ბოლო პერიოდში.

წინამდებარე სტატია *Ecce homo*-ს ლაბირინთის მხოლოდ მცირე ნაწილს აშუქებს. ნიციშეს ფილოლოგიურმა განათლებამ დიდი წვლილი შეიტანა *Ecce homo*-ს აისბერგული სტრუქტურის ჩამოყალიბებაში. რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ ნაწარმოებში ყველაფერი გარკვეულია და საკვლევი არაფერია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ვერ მიიპყრობდა ნიციშეს მკვლევართა ასეთ დიდ ყურადღებას. ჩემი აზრით, *Ecce homo*-ს წინ ჯერ კიდევ მრავალი საინტერესო ინტერპრეტაცია ელოდება, რომელიც ახლებურად გააშუქებს ფრიდრიხ ნიციშეს პიროვნებასა და მის შემოქმედებას.

## §2. *Ecce homo*: „წინააღმდეგობები“

კურტ პაულ იანცი მიიჩნევს, რომ *Ecce homo*-ს წარმოშობა განპირობებული იყო იმ გაუგებრობებით, რაც თან ახლდა ნიციშეს გვი-

ფრიდრიხ ნიცშე

---

ECCE HOMO

## წინასიტყვაობა

### 1

იმის გათვალისწინებით, რომ მალე კაცობრიობას ისეთი უმძიმესი მოთხოვნა უნდა წავუყენო, რომლის მსგავსიც ჯერ არავის წავუყენებია მისთვის, აუცილებლად მიმაჩნია, ვთქვა, თუ **ვინ ვარ მე**. არსებითად, ეს უნდა იცოდნენ კიდევ, რადგან ჩემი თავი „მოწმობის გარეშე“ არ დამიტოვებია.<sup>1</sup> თუმცა, შეუსაბამობა ჩემი ამოცანის სიდიადესა და ჩემი თანამედროვეების უბადრუკობას შორის იმაში გამოიხატება, რომ ჯერ არავის არაფერი სმენია ჩემს შესახებ. მე საკუთარი კრედიტის ხარჯზე ვცხოვრობ. იქნებ, ისიც კი ცრურწმენაა, რომ საერთოდ ვცხოვრობ?... საკმარისია, ვიღაც „განათლებულს“ ვესაუბრო, რომელიც ბაფხულს ზემო ენგადინში<sup>2</sup> ატარებს, რომ დავრწმუნდე: მე **არ** ვარსებობ... ასეთ პირობებში მოვალეობა, – რომელსაც საფუძველშივე ეწინააღმდეგება ჩემი ჩვევები და ინსტინქტთა სიამაყე, – მაიძულებს, ვთქვა: **მომისმინეთ! რადგან მე ვარ ესა და ეს. უპირველეს ყოვლისა, ნუ შეგეშლებით სხვებში!**

### 2

მე, მაგალითად, სულაც არა ვარ საფრთხობელა ან ზნეობრივი ურჩხული. პირიქით, მე იმგვარი ადამიანების საპირისპირო ნატუ-

---

1. შდრ. საქმენი, 14:17: „თუმცა სიკეთის მოქმედს მოწმობის გარეშე არასოდეს დაუტოვებია თავისი თავი.“

2. ზემო ენგადინი (ზილს-მარია, ზილსი ენგადინში) – მცირე სოფელი შვეიცარიაში, გრაუბიუნდენის კანტონში, სადაც ნიცშე ბაფხულობით ისვენებდა 1881-1888 წლებში.



რას წარმოვადგენ, რომელთაც აქამდე თაყვანს სცემდნენ, როგორც სიქველით შემკულებს. ჩვენს შორის რომ დარჩეს, ჩემი აზრით, სწორედ ეს განეკუთვნება ჩემს სიამაყეს. მე ფილოსოფოს დიონისოს<sup>3</sup> მოწაფე ვარ. მირჩევნია, სატირო<sup>4</sup> ვიყო, ვიდრე წმინდანი. მაგრამ, უმჯობესია, თავად ეს თხზულება წაიკითხო. შესაძლებელია, რომ ამ ნაშრომს არც კი ჰქონდეს სხვა დანიშნულება, გარდა იმისა, რომ ზემოთ აღნიშნული დაპირისპირება უფრო მხიარულ და ნათელ ფერებში წარმოაჩინოს. ალბათ, ეს გამომივიდა კიდეც. ყველაზე ნაკლებად შემიძლია შეგპირდეთ, რომ კაცობრიობის „გაუმჯობესებას“ შევძლებ. მე არ ვქმნი ახალ კერპებს. დაე, ძველებმა ისწავლონ, თუ რა მოჰყვება თიხის ფეხების ქონას. **კერპების** (ასე ვუწოდებ მე იდეალებს) **დამხოზა** – აი, რა წარმოადგენს ჩემს ხელობას. მას შემდეგ, რაც იდეალური სამყარო **გამოიგონეს**, სინამდვილე გააუფასურეს; მას გამოაცალეს საზრისი, წაართვეს ჭეშმარიტება... „ჭეშმარიტი სამყარო“ და „მოჩვენებითი სამყარო“ – გერმანულად: **გამოგონილი** სამყარო და სინამდვილე... აქამდე სინამდვილე იდეალთა **სიყალბით** იყო დაწყვეტილი, თავად კაცობრიობა კი იქამდე იყო ამ სიყალბით განმსჭვალული და თავის უძირითადეს ინსტიტუტებამდე გარყვნილი, რომ თაყვანს სცემდა **გაუკუღმართებულ** ღირებულებებს<sup>5</sup> იმ ჭეშმარიტ ღირებულებათა სანაცვლოდ, რომლებიც

---

3. დიონისო, დიონისე – ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში ღვინის (ვენახის) და მხიარულების ღმერთი. ნიცშე აქ დიონისური ღირებულებებისადმი თავის ერთგულებას გულისხმობს (შდრ. Ecce homo, ტრაგედიის დაბადება, 2 და 3; ასე ამბობდა ზარატუსტრა, 6).

4. სატირი – ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში ტყის ღვთაება, ცხენის (ან თხის) ყურებით, კუდითა და ჩლიქებით. ისინი ღმერთ დიონისოსს ამაღლაში შედიოდნენ.

5. გაუკუღმართებულ ღირებულებებში ნიცშესთან იგულისხმება ქრისტიანული ღირებულებები: მოყვასისადმი სიყვარული (Nächstenliebe), თანაგრძნობა (Mitleiden), თავგანწირვა (Selbstlosigkeit) და ა.შ., რომლებსაც ნიცშე დეკადანსის, დაცემის სიმპტომებად მიიჩნევდა (შდრ. Ecce homo, „რატომ ვარ ასეთი ბრძენი“, 4; „განთიადი“, 2; „რატომ ვარ ბედისწერა“, 7). ზემოთ „თიხის ფეხებზე“ საუბრისას ნიცშე მიანიშნებს ძველი აღთქმის ეპიზოდზე, სადაც წინასწარმეტყველი დანიელი მეფე ნაბუქოდონოსორს სიმპარს უხსნის (დან. 2, 31-45). სიმპარში მეფემ თიხისფეხება კერპი იხილა.

## შინაარსი

რატომ ვარ ასეთი ბრძენი  
რატომ ვარ ასეთი ჭკვიანი  
რატომ ვწერ ასეთ კარგ წიგნებს  
ტრაგედიის დაბადება  
არათანადროულები  
ადამიანური, ძალზე ადამიანური  
განთიადი  
La gaya scienza<sup>12</sup>  
ასე ამბობდა ზარატუსტრა  
სიკეთისა და ბოროტების მიღმა  
მორალის გენეალოგია  
კერპების მწუხრი  
ვაგნერის საქმე  
რატომ ვარ ბედისწერა  
ომის გამოცხადება<sup>13</sup> [გამოტოვებულია]  
ლაპარაკობს ჩაქუჩი<sup>14</sup> [გამოტოვებულია]

---

12. La gaya scienza, ანუ „Die fröhliche Wissenschaft“ („მხიარული მეცნიერება“) – ნიცშეს ნაშრომი (1882 წ.), რომლის მეორე გამოცემა 1887 წელს გამოვიდა.

13. ომის გამოცხადება (Kriegserklärung) – აღნიშნული ქვეთავი ნიცშემ 1888 წლის დეკემბრის დასაწყისში დაწერა. მისი შინაარსი მიუღებელი იყო ნიცშეს დედისა და დისთვის, ამიტომაც მათ გაანადგურეს ეს ფურცლები (იხ. KSA 14, 451).

14. ლაპარაკობს ჩაქუჩი (Der Hammer redet) – აღნიშნული ქვეთავი იგივეა, რაც „ასე ამბობდა ზარატუსტრა“, III, ძველი და ახალი ფიცრების შესახებ, 29 (KSA 4, 268).

ამ სრულყოფილ დღეს, როდესაც ყველაფერი მწიფდება და არა მხოლოდ ყურძნის მტევნები იღებებიან ქარვისფრად, მზის სხივმა ჩემი ცხოვრება გაანათა. მივიხედე უკან, გავიხედე წინ... არასდროს მინახავს ამდენი კარგი რამ ერთბაშად. ტყუილად კი არ მივაბარე დღეს მიწას ჩემი ორმოცდამეოთხე წელი.<sup>15</sup> მე მქონდა მისი დამარბვის უფლება. რაც მასში ცოცხალი იყო, გადარჩენილია, უკვდავია. „ყველა ღირებულების გადაფასება“,<sup>16</sup> „დიონისოს დითირამები“<sup>17</sup> და დასვენებისთვის – „კერპების მწუხრი“, – ამ წლის, უფრო სწორედ კი, ამ წლის ბოლო მეოთხედის საჩუქრებია!<sup>18</sup> რატომაც არ უნდა ვიყო მთელი ჩემი ცხოვრების მადლიერი? მამ ასე, ჩემს თავს საკუთარ ცხოვრებას ვუყვები.

---

15. 1888 წლის 15 ოქტომბერს ნიცშეს 44 წელი შეუსრულდა.

16. ჯ. კოლისა და მ. მონტინარის მიხედვით, ნიცშე აქ გულისხმობს „ანტიქრისტეს“. თავის დროზე, საპირისპიროს ამტკიცებდა ნიცშეს და, ელიზაბეთ ფიორსტერ-ნიცშე. მისი აზრით, „ყველა ღირებულების გადაფასება“ ნიცშეს 4 ტომად ჰქონდა შედგენილი. მან არ გამოაქვეყნა მისი ძმის წერილი პაულ დოისენისადმი, რომლიდანაც ირკვევა, რომ „ანტიქრისტე“ იგივეა, რაც „ყველა ღირებულების გადაფასება“. გაყალბებაში გარკვეულწილად მონაწილეობა მიიღო ნიცშეს ყოფილმა მოწაფემ და შემდგომში მისი ნაშრომების რედაქტორმა პეტერ გასტმაც. ამ გარემოებამ, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო ნიცშეს დას, ესაუბრა ვითომცდა არსებულ ტომებზე და გაეყალბებინა ნიცშეს მემკვიდრეობა. ამ გაყალბებების სამწუხარო შედეგს წარმოადგენდა ნიცშეს ცალკეული აფორიზმებითა და ციტატებით შედგენილი „ძალაუფლებისადმი ნების“ ოთხტომეული. თავად ნიცშე მართლაც აპირებდა „ძალაუფლებისადმი ნების“ შედგენას ოთხ წიგნად, მაგრამ 1888 წლის ზაფხულში მან ამ ჩანაფიქრზე უარი თქვა (იხ. KSA 14, 513). მის ჩანაწერებში გაბნეული ფრაგმენტები ნიცშეს დამ თემატურად დააღაგა (და არა ქრონოლოგიურად, როგორც ეს გააკეთეს ჯ. კოლიმ და მ. მონტინარიმ XX საუკუნის 60-იან წლებში), რითაც დაამახინჯა ნიცშეს შეხედულებები.

17. „დიონისოს დითირამები“ – ეს არის ნიცშეს ლექსების კრებული, რომელიც 1888 წლით თარიღდება. იხ. ფ. ნიცშე, „დიონისეს დითირამები“, თარგმნა დ. ბარბაქაძემ, გამომცემლობა „აქტი“, 2024 წ.

18. „კერპების მწუხრი“ განეკუთვნება 1888 წლის აგვისტო-სექტემბერს, „ყველა ღირებულების გადაფასება“ ანუ „ანტიქრისტე“ ნიცშემ დაწერა 1888 წლის სექტემბერში, ხოლო „დიონისოს დითირამები“ – 1888 წლის დეკემბერში.

## გამომცემლობის მიერ გამოცემული ფრიდრიხ ნიცშეს წიგნები

1. ანტიქრისტე
2. Ecce Homo
3. დიონისეს დითირამბები
4. სიკეთისა და ბოროტების მიღმა
5. ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
6. კერპების მწუხრი, ანუ როგორ ფილოსოფოსობენ ჩაქუჩით